სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

50836434058914

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N140506586

რეგისტრაციის თარიღი

20.05.2014 წ

ნოტარიუსი: ციური ბერიძე
მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი N 68.
ტელეფონი: 2-23-08-90.

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

სანოტარო აქტი

ორიათას თოთხმეტი წლის ოც მაისს, მე-ციური ბერიძის, ნოტარიუსს საქართველოში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №68-ში, მომმართა ქალბატონმა **ნინო მიქელაძემ** (დაბ. 28.06.1990 წ, პირადი № 01008046547, რეგისტრირებული ქ. თბილისი, ნაფარეულის ქ. N 18) მან წარმოადგინა ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირთა რეესტრიდან შპს "რაფინატო"-ს (ს.კ 404983210) შესახებ, გაცემული 2013 წლის 21.10 მდგომარეობით და განაცხადა რომ სურს, როგორც ამ საზოგადოების დირექტორმა და წარმომადგენლობით უფლებამოსილმა პირმა გარკვეული უფლებამოსილება მიანიჭოს **ომარ ტაბუცაძეს** (დაბ. 1987 წლის 20.10, პირადი № 01024044284, რეგისტრირებული: თბილისი, გ.კარტოზიას ქ. N 3 ბ. 5).

მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება.

პირადობა დადგენილია. ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს.

შემდეგ მე შევადგინე მინდობილობის პროექტი, რომელიც წავუკითხე მარწმუნებელს. მან განაცხადა, რომ მასში ასახული აზრი სრულად შეესაბამება მის ნებას. რის შემდეგ ხელი მოაწერა წინამდებარე მინდობილობის სამ ეგზემპლიარს ჩემი- ნოტარიუსის თანდასწრებით.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას თოთხმეტი წლის ოც მაისს, **ნინო მიქელაძემ** (დაბ. 28.06.1990 წ, პირადი № 01008046547, რეგისტრირებული ქ. თბილისი, ნაფარეულის ქ. N 18), როგორც შპს "რაფინატო"-ს (ს.კ 404983210) დირექტორმა სრული უფლებამოსილება მიანიჭა **ომარ ტაბუცაძეს** (დაბ. 1987 წლის 20.10, პირადი № 01024044284, რეგისტრირებული: თბილისი, გ.კარტოზიას ქ. N 3 ბ. 5) იყოს მისი სრულუფლებიანი და შეუზღუდავი წარმომადგენელი შემდეგი საქმიანობის საწარმოებლად კერძოდ:

წარმოადგინოს შპს "რაფინატო"-ს ინტერესები სსიპ ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურში რათა შეათანხმოს ქ. თბილისი ლუბლიანას ქ #21-ში (ნაკვეთი 08/014) მდებარე შპს "გაზის" საკუთრებაში არსებული ფართის (საკადასტრო კოდი: 01.13.01.008.014.) გარე ფასადის რეკონსტრუქციის მოპირკეთების არქიტექტურული პროექტი. გადაიხადოს ყველა საჭირო გადასახადი და მოსაკრებელი, ხელი მოაწეროს ყველა საჭირო დოკუმენტაციას და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებულია დავალებასთან.

არავინ არ შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს რწმუნებულის უფლებამოსილებანი იმის გამო, რომ წინამდებარე დავალების ხელშეკრულებაში რწმუნებულის უფლებები ამომწურავად არ არის ჩამოთვლილი.

მინდობილი უფლებამოსილება რწმუნებულს შეუძლია განახორციელოს ერთი თვის ვადით.

დავალების ხელშეკრულება ხელმოწერილია სამ ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო ბიუროს არქივში, დანარჩენი მიეცა ხელზე მარწმუნებელს.

გადახდილია სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ, საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29.12. № 507 დადგენილების 31.7.-მუხლის საფუძველზე 10 ლარი, მუხლი 39- ის საფუძველზე- 2 ლარი- ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციისათვის და დღგ-1,80 ლარი, საგადასახადო კოდექსის 169 -ე მუხლის თანახმად. სულ 13,80 ლარი

ნინო მიქელაძე

ნოტარიუსი ციური ბერიძე